 კავკასუს ონლაინი

# შეთანხმება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე

წინამდებარე შეთანხმება „ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე" („შეთანხმება") დადებულია 2018 წლის 21 დეკემბერს შემდეგ მხარეებს შორის:

(1) ააიპ „მარტვილის საფეხბურთო სკოლა"- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული და მოქმედი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ს/კ 435428084; მისამართი: მარტვილი, თავისუფლების ქ. N10; („რეგისტრანტი") წარმოდგენილი დირექტორის ჯესი სურმავას მიერ;

(2) შპს „კავკასუს ონლაინი"- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული კომპანია, ს/კ 211380833; მისამართი: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის N160; („კავკასუს ონლაინი") წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გიორგი შანიძის მიერ

შეთანხმებაში რეგისტრანტი და კავკასუს ონლაინი ერთობლივად მოიხსენებიან, როგორც „მხარეები", ხოლო ცალ-ცალკე როგორც „მხარე".

პრეამბულა

*ვინაიდან,* **რეგისტრანტსა** და **კავკასუს ონლაინს** შორის 2018 წლის 11 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება N42 „დომენური სახელ(ებ)ის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე" („სარეგისტრაციო ხელშეკრულება" ან „ხელშეკრულება") დომენური სახელის mfs.ge („დომენური სახელი") რეგისტრაციასთან დაკავშირებით;

*ვინაიდან,* **სარეგისტრაციო ხელშეკრულებისა** და „GE დომენის რეგისტრაციისა და ადმინისტრაციის წესების" („**დომენის** რეგულაცია") თანახმად დომენური სახელის დასარეგისტრირებლად **რეგისტრანტი** ვალდებულია გადაიხადოს **დომენური სახელის** რეგისტრაციის საფასური, რაც შეადგენს 30 (ოცდაათი) ლარს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით („**რეგისტრაციის** საფასური");

*ვინაიდან,* **რეგისტრანტს** სარეგისტრაციო ხელშეკრულებისა და **დომენის** რეგულაციის შესაბამისად არ გადაუხდია **დომენური** სახელის **რეგისტრაციის** საფასური და შესაბამისად **დომენური** სახელი არ არის **რეგისტრირებული** **რეგისტრანტის** სახელზე;

*ვინაიდან,* მხარეებს სურვილია სარეგისტრაციო ხელშეკრულების 6.1.1 მუხლის საფუძველზე წინამდებარე შეთანხმებით შეწყვიტონ ხელშეკრულება.



ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების [illegible] +995 32 2000022, info@co.ge, www.co.ge

შესაბამისად, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1.1. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე შეთანხმების გაფორმების თარიღზე შეწყდეს სარეგისტრაციო ხელშეკრულება;

1.2. რეგისტრანტი და კავკასუს ონლაინი ადასტურებენ, რომ ერთმანეთის მიმართ არ გააჩნიათ სარეგისტრაციო ხელშეკრულების საფუძველზე რაიმე მოთხოვნა, ან პრეტენზია

2. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

2.1. წინამდებარე შეთანხმება რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

2.2. მხარეთა შორის ყველა დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. მხარეთა ხელმოწერები

რეგისტრანტის სახელით

კავკასუს ონლაინის სახელით

DOMAIN

გიორგი შანიძე

გენერალური დირექტორი

DOMAIN
Caucasus Online LLC